საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-09/316

ქ. ბათუმი 27 ივლისი, 2015 წ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა2012-2013 სასწავლო წლის ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 23 ივლისის №3330 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ირკვევა, რომეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების - ლიკა გაზდელიანისა და ხათუნა ბერიძის საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადა ამოიწურა 2012-2013 სასწავლო წლის ბოლოს,ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“-ს მე-9 მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუ-დენტის სტატუსი.აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია და კანონშესაბამისი დაიწყოს ამ სტუდენტთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72- 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების,„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“-ს მე-9 მუხლის მე–6 პუნქტის,ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2015 წლის 23 ივლისის №3330 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებული იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების - ლიკა გაზდელიანისა (70 კრედიტი) და ხათუნა ბერიძის (70 კრედიტი)

მიმართ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2012-2013 სასწავლო წლის ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები (ერიცხებათ აკადემიური დავალიანებები);

2.დაინტერესებულ პირებს - სტუდენტებს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ **05 დღის ვადაში** წარმოადგინონ ბსუ-ს კანცელარიაში წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით;

3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2015წლის 31 ივლისის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე;

4. ბრძანება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით ჩაბარდეს დაინტერესებულ პირებს, რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს და კანცელარიას;

5. ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის N30);

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**